საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯი“, ქ. თბილისში თვალჭრელიძის ქ. №24 (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 01.19.19.002.100) განთავსებულ საწარმოში გეგმავს სახიფათო ნარჩენების ინსინერაციის (სამედიცინო ნარჩენების ინსინერაცია და დამუშავება) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას, კერძოდ წარმადობის გაზრდას.

აქვე გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ სახიფათო ნარჩენებს ინსინერაციის (სამედიცინო ნარჩენების ინსინერაცია) საწარმოზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 25 აპრილის N2-353 ბრძანების საფუძველზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

საწარმოს წარმადობის გაზრდასთან და ასევე, დამატებით სხვა სახეობის ნარჩენების ინსინერაციასთან დაკავშირებით, კომპანიამ, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის და ამავე კოდექსის მე-8 მუხლის შესაბამისად, გაიარა ჯერ სკრინინგის, ხოლო შემდეგ სკოპინგის პროცედურა და საქმიანობაზე, სამინისტროს მიერ 2020 წლის 9 ივნისს გაიცა N51 სკოპინგის დასკვნა.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-10 მუხლისა და ზემოაღნიშნული სკოპინგის დასკვნის გათვალისწინებით, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოგიდგენთ, ქ. თბილისში თვალჭრელიძის ქ. №24, „სახიფათო ნარჩენების ინსინერაციის (სამედიცინო ნარჩენების ინსინერაცია და დამუშავება) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და აღნიშნული კანონით განსაზღვრულ სხვა დოკუმენტაციას. ამასთანავე გაცნობებთ, რომ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის მომზადებისას გათვალისწინებულია თქვენი 2020 წლის 24 აგვისტოს N8080/01 წერილში მოყვანილი შენიშვნები და წინადადებები.

წერილს თან ერთვის :

1. „სახიფათო ნარჩენების ინსინერაციის (სამედიცინო ნარჩენების ინსინერაცია და დამუშავება) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების“ გზშ-ის ანგარიში - 1 ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
2. ზემოაღნიშნული საქმიანობის არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
3. ზემოაღნიშნული საქმიანობის ნარჩენების მართვის გეგმა - 1 ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;

შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯი“
ქ. თბილისი, თვალჭრელიძის ქ. №24
ს/კ № 20:295893 მობ: 555 66 22 20

სს. „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი : TBCBGE22
ა/ა GE18TB7002336060100001

№ 13729
31 08 2020
2/2CD

4. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი - 2 ეგზემპლარი ნაბეჭდი ვერსია;
5. საწარმოს განთავსების ტერიტორიის GIS კოორდინატები shp ფაილების სახით და 1-4 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების ელ ვერსია - 1 CD;
6. საწარმოს განთავსების ტერიტორიის სიტუაციური სქემა;
7. გზშ-ის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ასლი;
8. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
9. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

პატივისცემით,

თამაზ კოხრეიძე

შპს "მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯი"-ს დირექტორი

შპს "მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯი"-ს

დირექტორი
თამაზ კოხრეიძე

შპს მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯი
205295893
დოკუმენტებისათვის

თბილისი 31 აგვისტო 2020 - №431